ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5674131

ნომერი: AR1854750

თარიღი : 19.10.2021

გაცემის თარიღი : 08.11.2021

გაცნობის თარიღი : 09.11.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, შანდორ პეტეფის ქუჩა, N 3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გიგაური პ/ნ 01010005458
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ II მ/რ II კვ. კორ. 2 ბ. 51

ორგანიზაცია:

- დანიჰაუსი კოდი: 404912047

ნომენკლატურა :

- მაღაზია
- II კლასი
- მიშენება ან მიშენება - დაშენება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს"თაკე"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 206282128
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი კენკებაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01011021480

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: N5624760
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 5.10.2021

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და საკითხის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი მასალა არასრულია და არის გარკვეული სახის ხარვეზები (ხარვეზების შესახებ ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი ველების გასწვრივ) კერძოდ:
-წარმოდგენილი მინდობილობა არ არის მისაღები, ვინაიდან გიორგი კენკებაშვილი, მინდობილობას გასცემს როგორც ფიზიკური პირი. ვინაიდან მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „თაკე“, საჭიროა მინდობილობაში ფიქსირდებოდეს, რომ გიორგი კენკებაშვილი მინდობილობას გასცემს, როგორც აღნიშნული შპს-ს დირექტორი.
-საინფორმაციო დაფა - ბანერი. -> .საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.: ბანერზე არ უნდა ფიქსირდებოდეს არქიტექტორისა და საპროექტო ორგანიზაციის მონაცემები. წარმოსადგენია განახლებული საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან. საინფორმაციო დაფა უნდა დამაგრდეს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-19-ე მუხლის, მე-2 და მე-3, ქვეპუნქტების შესაბამისად აუცილებლად უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:
ა) მშენებლობის ნებართვის მაძიებლის საკონტაქტო ინფორმაციას;
ბ) მიწის ნაკვეთის მისამართს;
გ) მშენებლობის სახეობას და შენობა-ნაგებობის ფუნქციურ დანიშნულებას;
დ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელებას/მისამართს და განაცხადის განხილვის ვადებს;
ე) შენობა-ნაგებობის დაზუსტებულ სართულიანობას ან/და გაბარიტებს.
ვ) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ან განაშენიანების დეტალური გეგმის რეკვიზიტებს.
საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ამ მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.
-მიწის ნაკვეთის, საპრეოქტო არეალის მიმდებარედ ფიქსირდება მდინარის კოლექტორი, საჭიროა წარმოდგენილ იქნას შპს თბილსერვისის პოზიცია/თანხმობა გასნახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით. თქვენს მიერ არ არის წარმოდგენილი შპს თბილსერვისის წერილობითი პოზიცია. ასევე წარმოდგენილი უნდა იქნას თბილისი ენერჯის დამოწმებული გენგეგმა, უკვე წარმოდგენილ დოკუმენტებთან ერთად.
საჭიროების შემთხვევაში, განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ, ახალი გარემოებების გათვალისწინებით, ხარვეზების შესახებ შესაბამისი ინფორმაცია გეცნობებათ დამატებით.
აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული,

სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.